ვარლამ ჩერქეზოვი

გვერდები სოციალიზმის ისტორიიდან

I

ორი ისტორიული თარიღი

(ციურიხის კონგრესთან დაკავშირებით, 1893)

სოციალისტური მსოფლიო დიდად გაკვირვებული დარჩა ლეგალისტთა უმრავლესობის პოზიციით, ახლახან ჩატარებულ ე. წ. ინტერნაციონალურ კონგრესზე. მაგრამ არავის დაუსვამს შეკითხვა, რომელზე პასუხიც საინტერესო იქნებოდა: იყო ეს ქცევა დელეგატთა უმრავლესობის მხრიდან უბრალოდ უხეში შეცდომა, თუ ეს იყო ლოგიკური შედეგი იმისა, რასაც ქადაგებდნენ ამდენი წლის განმავლობაში „მეცნიერული სოციალიზმის“ სახელით, – არის ეს საკვირველი დადასტურება სამართლებრივი ტაქტიკის, უბადრუკი რეფორმებისა და წმინდა პარლამენტური კომბინაციისა? ჩვენდა სასიხარულოდ, ენგელსი თავად გვაძლევს პასუხს.

„ჯერ მხოლოდ 50 წელია“, თქვა მან, კონგრესზე უკან მჯდომმა, „მას შემდეგ, რაც მარქსმა და მე პირველად ავიღეთ იარაღი. ეს იყო პარიზში, 1843 წელს, ჟურნალ „ფრანკო-გერმანული ანალების“ („Annales franco-allemandes“) განხილვაში. სოციალიზმი მაშინ ჯერ კიდევ მხოლოდ პატარა სექტებით იყო წარმომადგენილი.

. . . ეს წელი აღნიშნავს კიდევ ერთ იუბილეს: რომ სოციალისტური კონგრესი ჩატარდა ოცი წლის წინ, *სადაც ჩვენ შევთანხმდით კამპანიის გეგმის გაგრძელებაზე ღღევანდელობამდე, ყოველგვარი ცვლილებისა და კუთხიდან გადახვევის გარეშე.* ეს იყო 1873 წელს.[1] . . . ჩვენ შევხვდით ერთმანეთს; შევთანხმდით ქცევის წესზე; და ახლა ხედავთ სად ვართ დღეს . . . მოდით დავრჩეთ მყარ ერთიანობად ჩვენს ძირითად კურსში, და გამარჯვება ჩვენი იქნება“.[2]

საკმაოდ ნათელია, არა? აშკარაა, რომ სოციალისტური მსოფლიო გაკვირვებული დარჩა ქცევის წესების უცოდინარობის გამო; და იმით, რომ „მეცნიერული სოციალიზმის“ ბელადი ხოტბას ასხამს საკუთარ თავს სწორედ მისი პოზიციის გამო, რომელიც განჭვრიტა ორმოცდაათი წლის წინ და მიჰყვებოდა ოცდაათი წელი. ახლა კი ვნახოთ რა არის ის ახალი რამ, რაც მარქსმა და ენგელსმა შემოიტანეს სოციალიზმის კონცეფციაში, და რა ხასიათის იყო 1873 წლის კონგრესი.

---

[1] 1873 წლის კონგრესი ნაკლებად საინტერესო იყო სოციალისტურ მოძრაობაში, მაგრამ 1872 წლის ჰააგის კონგრესი, სადაც მარქსმა და ენგელსმა გაიმარჯვეს, ნამდვილად იყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე. ამ ჯენტლმენებმა განდევნეს ფედერალისტები ინტერნაციონალიდან, და ამ აქტით მოკლეს დიდებული გაერთიანება (ავტ.).

[2] Journal des Economistes, ნ. 9, გვ. 328, 1. 893 (ავტ.).

ისტორიიდან ვიცით, რომ საფრანგეთში ამ დროს – 1839-დან 1848-მდე არსებობდა ფართო რევოლუციური მოძრაობა სოციალისტური ტენდენციებით. სოციალისტურმა პუბლიკაციებმა წალეკა ქვეყანა. პ. ლერუქსი, ვ. კონსიდერანი, პრუდონი, გ. სენდი, ოგიუსტ კომტე, ლამენესი, ბარბსი და ბლანქი, მაგრამ განსაკუთრებით ლუი ბლანი ქადაგებდა სხვადასხვა ტიპის სოციალისტურ მოძღვრებას, რომელიც მშრომელი მასების მიერ კარგად იყო ათვისებული. ლუი ბლანი ყველაზე პოპულარული იყო. ეს იყო მისი პროგრამის – „შრომის ორგანიზაციის" დამსახურება, რომლის წყალობითაც ის ხალხმა ტრიუმფამდე მიიყვანა, იგი აირჩიეს დროებითი მთავრობის წევრად 1848 წლის 24 თებერვალს. თავის გაზეთში „Revue du Progres" („პროგრესის მიმოხილვა") რომელიც გამოიცემოდა 1839 წლიდან, დაიწყო გამოქვეყნება სახელმწიფო სოციალიზმის მისეული სისტემის შესახებ, სრულიად ახალ დოქტრინაზე თავისი ეპოქისათვის. ის ამბობდა, რომ სოციალური პრობლემების გადაჭრა, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოთი: სადაც ხალხი, უპირველეს ყოვლისა, დაეუფლება პოლიტიკურ ძალას, და საკუთარ ხელში აიღებს საკანონმდებლო ხელისუფლებას; *მაგრამ ეს პოლიტიკური ბრძოლა უნდა ეფუძნებოდეს ხალხთა სოციალურ და ეკონომიკურ ემანსიპაციას; ეს უკანასკნელი მიზანია, ხოლო პირველი კი უბრალოდ საშუალება.* როგორც კი ხალხი სახელმწიფოს ხელში ჩაიგდებს, ყველა პრივილეგია გაუქმდება, ისევე როგორც ყველა კაპიტალისტური სტრუქტურა; რომლებიც ჩანაცვლდება ნაციონალური საამქროებით, და უფასო სესხებით ავტონომიური გაერთიანებებისთვის. ორგანიზებული საამქროების და „სესხების ღარიბებისთვის" წამომართვით, სახელმწიფოს აღარ ექნება უფლება ჩაერიოს ავტონომიური გაერთიანებების ცხოვრებაში, რომლებიც მოაწყობენ თავიანთ თავს კომუნისტური ბაზისის საფუძველზე, ექნებათ დევიზი: თითოეულისგან შესაძლებლობების მიხედვით, თითოეულს საჭიროების მიხედვით. ეს არის ორ სიტყვაში ლუი ბლანის დოქტრინა. მას დღეს უყურებენ როგორც სოციალ-დემოკრატიას – მაგრამ ახლა მივცეთ საშუალება ბატონ ენგელსს თავად გვითხრას რას ქადაგებენ ისინი ბლანის პარალელურად.

1848 წლის 24 თებერვლის რევოლუციამდე რამდენიმე თვით ადრე, გერმანელ კომუნისტთა ლიგამ[3] გამოაქვეყნა ცნობილი „კომუნისტური მანიფესტი," შედგენილი მარქსისა და ენგელსის მიერ. პრაქტიკული მეთოდები ხალხისათვის, რომელიც შემდეგნაირადაა ფორმულირებული[4]:

1. მიწის ექსპროპრიაცია, და საიჯარო გადასახადის გამოყენება სახელმწიფო ხარჯებში;
2. პროგრესული და ძალიან მძიმე გადასახადი შემოსავალზე;
3. მემკვიდრეობითი უფლების გაუქმება;
4. მეამბოხეებისა და ემიგრანტების ქონების კონფისკაცია.

[3] იგულისხმება პოლიტიკური ორგანიზაცია – „კომუნისტური ლიგა", უფრო კონკრეტულად კი კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი რომლებმაც გამოაქვეყნეს „კომუნისტური მანიფესტი". (მთარგმნელი)

[4] ვციტირებ პირველი გამოცემის ტექსტიდან, 1847 წ. (ავტ.)

5. ვალის ჩამოწერა სახელმწიფო ბანკისა და *ექსკლუზიური მონოპოლიის* საშუალებით;
6. სანტრასპორტო საშუალების ცენტრალიზება სახელმწიფოს ხელში;
7. სახელმწიფო ქარხნებისა და საწარმოო ხელსაწყოების რიცხვის გაზრდა; მიწის დამუშავება და გაუმჯობესება ძირითადი გეგმის მიხედვით (უზრუნველყოფა);
8. სავალდებულო სამუშაო ყველასთვის; მშრომელთა არმიის ორგანიზება, განსაკუთრებით აგროკულტურისათვის.

ამ იდეებით დაიწყეს მარქსმა და ენგელსმა თავიანთი სოციალისტური და რევოლუციური პროპაგანდა. მოდით, მიუკერძოებელ ადამიანებს მივცეთ შესაძლებლობა, განსაჯონ, ვისი ჩაფიქრებული იდეაა მეტად ჰუმანიტარული და სოციალური, ლუი ბლანკი თავისი დევიზით – „თითოეული მისი შესაძლებლობების მიხედვით, თითოეულს საჭიროების მიხედვით“, თვითმმართველ ჯგუფებთან, თუ მარქსი და ენგელსი თავიანთი „ექსკლუზიური მონოპოლიითა“ და „მიწის დამუშავების გენერალური სქემით“, „მშრომელთა არმიის ორგანიზებით, განსაკუთრებით აგროკულტურისთვის“. და რა აქვს ბატონ ენგელსს საამაყო? კაცობრიობამ რატომ უნდა შეასხას ხოტბა შემთხვევით რეაქციას? მე შემიძლია გავიგო რობერტ ოუენის 1813 წელს გამოცემული მანიფესტის წლისთავის აღნიშვნა, მას მერე რაც ის ვრცლად და სხვადასხვა გზით საჯაროდ აჟღერებდა სოციალისტურ, ჰუმანიტარულ იდეებს. მაგრამ გაუგებარია იმ თარიღის აღნიშვნა, როდესაც ბატონი ენგელსი გამოჩნდა პოლიტიკურ ჰორიზონტზე თავისი რეაქციონერული იდეებითა და ხშირ შემთხვევაში, უიღბლო ტაქტიკით! . . . უფრო ზუსტად, ბოროტების პროდუქტით, თუ შეიძლება ასე ვთქვა.

ახლა შევხედოთ კიდევ ერთ დიდებულ თარიღს, 1873 წელს, როდესაც სამოქმედო გეგმა შეთანხმებული იყო, ის შემდეგში აისახა კიდეც ციურიხის დეკლარაციაში, რომლის თანახმადაც მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს უკვე არსებულ სისტემას, დაფუძნებულ კაპიტალისტურ ჩაგვრასა და გაუგებარ მილიტარიზმზე.

უნდა ვთქვა, რომ საკმაოდ გაკვირვებული დავრჩი ინტერნაციონალის უკანასკნელი კონგრესის გადაწყვეტილების თაობაზე. მარქსის ტყუილების ჭეშმარიტად დიდებულება იმაში მდგომარეობს, რომ მან თავად მოამზადა ასოციაციის წესდება და შესავალი. უნდა ითქვას, რომ 1864 წლიდან 1869 წლამდე, ვიდრე ბეილის[5] კონგრესამდე, მარქსის უმაღლესი ძალის პერიოდი იყო. რამდენადაც ვიცი, 1873 წლის კონგრესის შემდეგ მარქსის შესახებ მწარე მოგონებები შემორჩა, ვინც გარკვევით ნახა ეს, შენიშნავდა, რომ ეს უდრიდა სასიკვდილო განაჩენს მისი ცენტრალიზებული სახელმწიფოს პარტიისთვის. ფაქტია, რომ ამ მომენტიდან ინტერნაციონალში მარქსის ჯგუფი აღარ არსებობდა, და უკვე 1881 წლიდან კონგრესებს ატარებდნენ მხოლოდ ბაკუნინის ფედერალისტი მიმდევრები, ცნობილი როგორც ანარქისტები. და თუ, ერთი მხრივ, მარქსი არ იყო კმაყოფილი 1873 წლის კონგრესის შედეგით, მეორე მხრივ, ენგელსი, გა-

[5] ბაზელის კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 1869 წელს შვეიცარიაში, ქალაქს ბაზელში.

მარჯვებული იყო, რადგან მას დიდი ხნის წინათ ჰქონდა დაგეგმილი, რომ მოეხდინა პროვოცირება და გამოეწვია დაყოფა ინტერნაციონალში. შეაბიჯა რა რეაქციონერულ იდეებში, რომელიც ზევით უკვე წარმოვადგინეთ, ენგელსმა ფიცი დადო, რომ იქნებოდა შეურიგებელი ბაკუნინისტების წინააღმდეგ, განსაკუთრებით, იმ წევრების მიმართ ვინც ერთიანდებოდა სოციალისტურ ინტერნაციონალურ ალიანსში. ფედერალისტები ინტერნაციონალში სჭარბობდნენ შვეიცარიაში, ბელგიაში, ესპანეთსა და იტალიაში. ენგელსმა, როგორც ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წევრმა და ესპანეთის კორესპონდენტმა, 1872 წლის 25 ივლისს, ესპანეთში ფედერალურ საბჭოს მისწერა საზარელი წერილი, რომელშიც იგი ითხოვდა „ალიანსის ყველა წევრის სიას", და ამთავრებდა ამ სიტყვებით, „ვერ მივიღე რა კატეგორიული და დამაკმაყოფილებელი პასუხი, გენერალური საბჭო თავს ვალდებულად ჩათვლის, რომ გამხილოთ საჯაროდ," და ა. შ. („Mémoire de la fédration Jurassienne," გვ. 250.) ბატონმა ენგელსმა ეს წერილი ისე დაწერა, რომ საბჭოს სხვა წევრებისთვის აზრი არც უკითხავს. როდესაც იუნგმა[6] და მარქსმა გაიგეს ამ სასაცილო მუქარაზე, გადაწყვიტეს, რომ საბჭოს ყურადღება არ უნდა მიექცია ამ ცნობილი წერილისათვის.

მე იმის ადგილი არ მაქვს, რომ დეტალურად მოგიყვეთ, თუ რა ინტრიგებს ხლართავდნენ ენგელსი, ლაფარჟი, უტინი, და სხვა დანარჩენები ფედერალისტების, განსაკუთრებით კი ბაკუნინისა და ჯეიმს გილიაუმის წინააღმდეგ. ამ ცუდი მოგონების შესახებ, იმის თქმაც საკმარისია, რომ ამ ინტრიგებმა 1873 წლის კონგრესზე ინტერნაციონალში საქმე განხეთქილებამდე მიიყვანა, ნაკლებადაა ცნობილი ამ კონგრესის მოწვევის შესახებ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მარქსმა და ენგელსმა განკარგულება მისცეს სორჯს, ნიუ იორკში გერმანული სექციის დელეგატს, რომ მოეტანა რაც შეიძლება ბევრი შეუვსებელი მანდატი. სორჯმა, მართლაც მოიტანა დიდი რაოდენობით. ისინი დაურიგდათ მარქსისა და ენგელსის ირგვლივ ერთგულ მომხრეებს. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო თვალთმაქცობა ის იყო, რომ ამ ჯენტლმენებმა თან მოიყვანეს ხალხი, ინტერნაციონალური გენერალური საბჭოს წევრების რანგში, რომელთაც არავითარი როლი არ ჰქონდა რომელიმე სექციაში. ასევე მოწვეული იყო მალთმან ბერი, საზოგადოდ ცნობილი, როგორც ენგელსის ახლო მეგობარი. ასე შეადგინეს მათ უმრავლესობა, გარიცხეს ბაკუნინი, გილიაუმი, და მათთან ერთად იურის[7], ესპანეთის, იტალიის, ბელგიისა და ინგლისის ფედერაციის წარმომადგენლები. მხოლოდ გერმანელები და მცირე განცალკევებული ჯგუფები სხვადასხვა ქვეყნიდან დარჩნენ მარქსის, ენგელსისა და ბერის მხარეს.[8] ყველა აქტიური

[6] ჰერმან იუნგი, შვეიცარიელი მემარცხენე და რევოლუციონერი. (მთარგ.) იმ სქოლიოს, რომელიც ვალრმაისაა, წინადადების ბოლოში ფრჩხილში მიეწეროს (ავტორი) – მეორე დაშემდეგი შემთხვევებისას – (ავტ.); ხოლო იმ სქოლიოებს, რომელიც მთარგმნელისაა (მთარგმნელი), შემდეგში – (მთარგმ.).

[7] იგულისხმება კუნძული შოტლანდიის სამხრეთ-დასავლეთით (მთარგმ.).

[8] საჭიროა ვახსენო რომ იუნგმა უარი თქვა წარმოდგენილიყო კონგრესზე. „მარქსმა და ენგელსმა სასწრაფოდ მიხმეს კონგრესზე... უარი ვთქვი... შემდეგ დღეს ისევ დამიძახეს ...ენგელსმა მითხრა: „შენ ხარ ერთადერთი ადამიანი ვისაც გაერთიანების გადარჩენა შეუძლია." მე ვუპასუხე რომ მხოლოდ იმ პირობით წავიდოდი ჰაგაში თუ ის და

და რევოლუციური ელემენტი იკრიბებოდა ბაკუნინის ფედერალისტი მომხრეების ირგვლივ, ისინი ის ხალხი იყვნენ, რომლებიც ჯერ კიდევ 1881 წლამდე ცდილობდნენ ინტერნაციონალური კონგრესის მოწვევას.

რა დიდებული მიზეზით გამოაცხადა ენგელსმა გაწვევა! გასაკვირია, რომ „ლეგალისტთა“ უმრავლესობამ, გადაუხვიეს ციურიხის კონგრესზე მთავრობასთან ერთად შექმნილ კეთილშობილურ საწყისებს, თავს დაესხნენ დამოუკიდებლებს და გამოუცხადეს ომი.

II

დიქტატურა და სამეცნიერო პრეტენზიები

მარქსისა და ენგელსის იდეის ნათლად გასაგებად, საჭიროა ვნახოთ რა პოზიციას იკავებდნენ ისინი პარიზის კომუნისათვის ბრძოლის დროს, როგორც ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს სულისჩამდგმელები. 1871 წლის 3 აპრილს, ლონდონის ინტერნაციონალის გენერალური საბჭო, სწერს პარიზს: „მოქალაქენო, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, პარიზის ბიუროს წევრებს მოვუწოდებ, რომ წარმოუდგინოს ლონდონის ცენტრალურ ბიუროს ყოველდღიური მოხსენებები“.

უცნაურია, სთხოვდე ომში ჩართულ ხალხს, რომ წერონ მოხსენებები! და რა მიზეზით?!

9 აპრილს: „ჩვენ ველით შედეგებს, რომ მოგცეთ ინსტრუქციები.“

მაშინ როდესაც ბისმარკი და იმპერატორი უილიამი[9], რომლებიც ვითომ ბრძანებებს გასცემდნენ, ბრძოლის ველზე მაინც ჩანდნენ! მაგრამ მარქსი და ენგელსი გენერალური კომიტეტის მართვისას კი ამჯობინებდნენ დარჩენილიყვნენ უსაფრთხოდ, გისოსებ გარშემორტყმულნი, იძლეოდნენ ინსტრუქციებს. და თან როგორ ინსტრუქციებს!

4 აპრილი: „ნუ გასწევთ ფუჭ აგიტაციას პროვინციებში.“

9 აპრილი: „ამიერიდან, მიეცით რესპუბლიკელებს შესაძლებლობა, რომ იმოქმედონ და არ წახვიდეთ კომპრომისებზე.“ ან კიდევ, „ბრძოლა მტკიცედ დაიწყო. იმედი გვაქვს, რომ გაუძლებთ“.

მიუხედავად ამისა, მთელი ამ აბსურდის კულმინაციური მომენტი იყო ის, რომ ამ ძალაუფლებით გაუმაძღარ ხალხს სურდა ეკონტროლებინა სოციალისტი მებრძოლების გადაადგილებაც კი. მაგალითად:

23 მარტი: „დატოვეთ გობერტი ლიონში, ჰენსკოტი თქვენთან, და გაგზავნეთ ეშტეინი მარსელში“. 24 მარტი: „გაგზავნეთ კლუზერეტი პარიზში“ (ჩინებული მითითებაა, ჭეშმარიტად).

20 მარტი: „იმ სირთულეების მოსაგვარებლად, რომლებიც ხელს უშლის

მარქსი არ წავიდოდნენ.“ ჩვენ ვხედავთ რომ თავიანთ მომხრეებშიც კი მათი გავლენა ფატალური იყო (ავტ.).

[9] იგულისხმება ვილჰელმ I, მეფე პრუსიისა და სრულიად გერმანიის იმპერატორი.

მოქალაქე ასისა და მორტიერის ლიონში გამგზავრებას, გიგზავნით დელეგატ ლედნეკს, რომელსაც სრული უფლებამოსილება აქვს მარსელსა და ლიონში". ინტერნაციონალის წესდების მიხედვით, გენერალური კომიტეტის ფუნქციები მხოლოდ ადმინისტრაციული იყო. კომიტეტის ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა, რომ ცენტრალური სამმართველო დაეკავშირებინა სხვადასხვა ეროვნული ორგანიზაციისთვის, ხოლო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა სრულიად არ შედიოდა მის ფუნქცია-მოვალეობებში. მიუხედავად ამისა, მარქსისა და ენგელსის ხელმძღვანელობის დროს, გაჩნდა სრულიად უსაფუძვლო მოთხოვნა სხვა უფლებებზეც, როგორიცაა მშრომელთა ორგანიზაციებისთვის პირდაპირი დირექტივების მიცემა; დიქტატურისკენ სწრაფვის ნათელი დადასტურება კი იყო იმ ბრძანებების გაგზავნა, რომლებიც ზევით უკვე ვახსენეთ. სრული უფლებამოსილება მარსელსა და ლიონში უცნობ სახელგანთქმულ ადამიანს! (რა ტაქტიანობაა! ორი გერმანელი, გერმანული სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, აძლევს ბრძანებებს ფრანგ სოციალისტებს, მაშინ როდესაც თავად იმპერატორი, გერმანელი უფლისწულები, და ბისმარკი ვერსალში იყვნენ!) ინტერნაციონალის გონიერი წევრები, გილიაუმი და ბაკუნინი, ჯერ კიდევ 1870 წელს შენიშნავდნენ სახიფათო მიდრეკილებას დიქტატურისა და რადიკალიზმისკენ, თუმცა მათი მცდელობების მიუხედავად სრულიად საპირისპირო შედეგი დადგა. პროტესტებმა უფრო მრავალრიცხოვანი და ძალადობრივი ხასიათი მიიღო. ამ მომენტიდან მოყოლებული მარქსისტთა ვიწრო წრეში გაჩნდა ზიზღი ფედერალისტების, განსაკუთრებით კი ბაკუნინისა და გილიაუმის მიმართ. ეს ვიწრო ელიტარული ჯგუფი მთელს ენერგიასა და რესურსს იყენებდა, რომ ხელში ჩაეგდო ძალაუფლება; ამას ადასტურებს ის ფაქტი, თუ როგორ გამოიყენეს მათ უმრავლესობა ჰააგის კონგრესზე 1872 წელს.[10] პარალელურად გამოჩნდა აბსურდისა და ცილისწამების ახალი ტალღა, რომელიც შემდეგში აისახა კიდეც პამფლეტში –„სოციალისტური დემოკრატიის ალიანსი". ინტერნაციონალის გაყოფის შემდეგ, ორივე მხარემ ძალიან განსხვავებული ტაქტიკა აირჩია, მაშინ როდესაც ფედერალისტები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რევოლუციურ და ეკონომიკურ ბრძოლას, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრეებმა 1873 წელს, წამოაყენეს ლეგალური და პარლამენტური მოქმედების პროგრამა, რომელიც ელექტორალური ბრძოლისა და კომპრომისის შედეგი იყო.[11] სოციალ-დემოკრატია დიდი ხნის განმავლობაში ატარებდა შერიგების სულისკვეთებას სოციალისტურ მოთხოვნებსა და არსებულ სოციალურ წესრიგს შორის, გოთას კონგრესი[12] კი გახდა შემდეგში საყოველთაო რეპუტაციის შელახვის საფუძველი. სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ ძველი „რევოლუ-

[10] იგულისხმება ინტერნაციონალიდან ანარქისტების გარიცხვა.

[11] 1894 წელს ფრანკფურტის კონგრესზე ერთ-ერთმა დელეგატმა თქვა: „სოციალიზმის წამალი დანიშნული უნდა იყოს პატარა დოზებით." იმ პატიოსანმა მეცნიერმა კაცმა მოგვიანებით ერთ-ერთ ჩვენ მეგობარს უთხრა: „რა გინდათ, რადიკალური გეგმა უფრო მეტად პროგრესულია ვიდრე ეგ სოციალიზმის წამალი!" ეს კი მართლაც რომ ასეა.

[12] 1875 წელს, გერმანიის ქალაქ გოთაში ჩატარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) კონგრესი, რომელზეც წარადგინეს „გოთას პროგრამა". მოგვიანებით კარლ მარქსმა გამოსცა ნაშრომი „გოთას პროგრამის კრიტიკა", რომელშიც ეწინააღმდეგებოდა პროგრამის ძირითად დებულებებს.

ციური სოციალიზმი“ მიუღებელი იყო ყველა ამ დიპლომატი და ლეგალიტარი ჯენტლმენისათვის. საჭირო იყო ახალი სახელი, რომელიც უფრო მეტად შესაფერისი იქნებოდა სოციალიზმის ახალი იდეებისა და საკანონმდებლო საქმიანობისთვის. მოიძებნა სასურველი ტერმინი: ისეთმა გამორჩეულმა უვიცებმა როგორებიც არიან სტ. საიმონი, ოუენი, პრუდონი, ჩერნიშევსკი, „რევოლუციურის“ გამოსახატად შემოიტანეს ტერმინი „მეცნიერული“. სამწუხაროდ, ზედსართავი „მეცნიერული“ ცოტა არ იყოს ბუნდოვანია, კაპიტალისტური სტრუქტურის მცველებს განსაკუთრებით უყვართ „მეცნიერულის“ სახელით ყბედობა, გერმანიაში ხალხი რომელიც ყვიროდა „მშვიდობა, მშვიდობა, იქ სადაც მშვიდობა არაა“, ისინიც საკუთარ თავს „მეცნიერ სოციალისტებს“ უწოდებდნენ – სკამის სოციალისტებს. აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ ეს დოქტრინა უფრო მეტად გამოკვეთილიყო; ამის გამო, საჭირო გახდა შექმნილიყო ლეგენდა, რომელიც „მეცნიერულს“ განიხილავდა როგორც რაიმე განსაკუთრებულს სოციალ დემოკრატებისთვის, თითქოს ის ეფუძნებოდა პარლამენტარიანების მიერ გაკეთებულ საგანგებო აღმოჩენას. იმის მაგიერ ვთქვათ, რომ კოლოსალური ევროპული კულტურა გვავალდებულებს მოვახდინოთ რადიკალური ცვლილება არსებულ კაპიტალისტურ სტრუქტურაში, ეს „მეცნიერება“, *და მისი ფახთო გაგება,* მიდრეკილია რომ გაკიცხოს ინდივიდუალისტური წარმოებისა და მოხმარების მეთოდები, ისინი საკუთარ თავს ამ განსაკუთრებულ „მეცნიერულის“ სტატუსს მიაკუთვნებენ. მაგრამ მათ დაავიწყდათ პარტიული მეცნიერების პრინციპი – ასეთი რამ მართლაც რომ არსებობდეს – რაიმე ახალი იდეა მხოლოდ ამავე პარტიის წევრებისთვის შეიძლება იყოს მიღებული როგორც ავტორიტეტი, თუმცა ამავე დროს მიმდინარეობდა დაუფარავი ზეწოლა განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებზეც. მართლაც, სოციალ დემოკრატიული მოძღვრებები შეიცავს თუ არა ისეთ კანონებსა და პრინციპებს, რომელიც ზოგადად მეცნიერებისთვის უცნობია, ხოლო სოციალისტებისთვის კი უვიცობა? „მოაზროვნეთა“ მტკიცებულებების მიხედვით ეს სწორედაც რომ ასეა. „კაპიტალისტური წარმოების კანონზომიერება, რომელიც მარქსმა აღმოაჩინა,“ ვკითხულობთ ენგელსის ბიოგრაფიაში („Neue Zeit,” Vol. IX., № 8), „არის ისეთივე ობიექტური როგორც ნიუტონისა და კეპლერის შეხედულებები, რომლებიც უკავშირდება მზის სისტემის მუშაობას.“„მარქსისთვის,“ ამბობს ბატონი ენგელსი, „არსებობს ორი მნიშვნელოვანი ‘აღმოჩენა’: პირველი, გამჟღავნდეს კაპიტალისტური წარმოების საიდუმლო, ჭარბი სარგებლის პრინციპის ახსნით; მეორე, ისტორიის მატერიალისტური კონცეფცია.“ (ენგელსი, „მეცნიერული სოციალიზმის განვითარება“). „1845 წელს, ჩვენ [მარქსმა და ენგელსმა] გადავწყვიტეთ, რომ საკუთარი თავი გადაგვედო და დეტალურად დაგვემუშავებინა კვლევა, ისტორიის მატერიალისტური ახსნის შესახებ, რომელიც მარქსის მიერ იყო აღმოჩენილი“ („ლუდვიგ ფოიერბახი“; წინასიტყვაობა ენგელსის მიერ). დურინგთან პოლემიკაში ენგელსი ამბობს: „თუ დურინგი გულისხმობს ჩვენი დროის მთლიან ეკონომიკურ სისტემას... როგორც ჩაგვრისა და კლასობრივი ბრძოლის შედეგს, ...მაშინ ის იმეორებს სიმართლეს, რომელიც უკვე ბანალური გახდა, მას მერე რაც გამოჩნდა „კომუნისტურ მანიფესტში“ (შედგენილი მარ-

ქსისა და ენგელსის მიერ).თავიანთი ევოლუციური ამბის თხრობისას, ენგელსმა გულუბრყვილოდ აღიარა: „საოცარი ის იყო, რომ მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ ხალხი, ვინც აღმოაჩინა დიალექტიკური მატერიალიზმი“ („ლუდვიგ ფოიერბახი“). ნებისმიერ შემთხვევაში, მათ ასევე ხელახლა აღმოაჩინეს დიალექტიკური მეთოდი... მაგრამ ამ ორი მოაზროვნის მიმდევრები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. მათ განაცხადეს, რომ თავიანთი მასწავლებლები იყვნენ პირველები, რომლებმაც გამოიყენეს დიალექტიკური მეთოდი ისტორიის, ეკონომიკისა და სოციოლოგიურ კვლევებსა თუ სწავლებებში, რომლის წყალობითაც აღმოაჩინეს კაპიტალისტური კონცენტრაციის კანონზომიერება – ეკონომიკური ფატალიზმის ნაირსახეობა. ისინი იყვნენ ის ხალხი ვინც შექმნა სოციალ დემოკრატიული პარტია, „ყველაზე რევოლუციური რამ რაც კი ისტორიას უნახავს.“ ჩვენ კი გვითხრეს რომ გულდასმით შეგვესწავლა ენგელსის ბროშურა – „ლუდვიგ ფოიერბახი“, რადგანაც ეს არის „ამ ორი მოაზროვნის ფილოსოფიის ყველაზე სრულყოფილი გამომხატველი“ (პლეხანოვის შესავალი). კაცობრიობამ სერიოზულად უნდა მიიჩნიოს მათი ადრეული იდეები „როგორც მეცნიერული სოციალიზმის პირველი ნაბიჯები“ (“Neue Zeit”, ენგელსის ბიოგრაფია).ყოველ ჯერზე როდესაც ვკითხულობ ამ გაზვიადებულ პასაჟებს, სრულიად მაოცებს მარქსისა და ენგელსის რეპუტაცია, რომ არა თავგამოდებული ქება და მათთვის ხოტბის შესხმა, შესაძლოა ასე არც ყოფილიყო. როგორ შეიძლება სერიოზულად იმის მტკიცება, რომ სოციოლოგიური წესები ისეთივე ზუსტია როგორც მიზიდულობის კანონი, და ეს არის მარქსისთვის „აღმოჩენა“? აქამდე არავის შეუტანია ეჭვი ასეთი წესების არსებობაში? არავის, ადასტურებენ სოციალ დემოკრატები. „გერმანიამ“, ამბობს ბებელი, “მომავალ ბრძოლაში წინამძღოლის ფუნქცია აიღო საკუთარ თავზე. ეს განსაზღვრულიც იყო მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და განვითარებიდან გამომდინარე. შემთხვევითი არ არის, რომ გერმანელებმა აღმოაჩინეს ახლანდელი საზოგადოების განვითარების დინამიკა და საფუძველი ჩაუყარეს სოციალიზმის მეცნიერულ ბაზისს. გერმანელებს შორის, პირველი ადგილი ეკუთვნით მარქსსა და ენგელს: მათ შემდეგ მოდის ლასალი,[13] როგორც მშრომელთა მასების ორგანიზატორი“ („ქალი“, დასკვნა). ეს სოციალ დემოკრატიული ხასიათის მომხიბლავი ციტატა, ტრაბახით გვასწავლის თუ რას ეფუძნება მარქსისა და ენგელსის პრეტენზია საყოველთაო დიქტატურაზე. გერმანია კაცობრიობის სათავეა. ისინი საკუთარ თავებს უწოდებენ გერმანიის ორ მოკაშკაშე სინათლეს, ამიტომაც ისინი უვიც კაცობრიობაზე გაცილებით მაღლა დგანან.

[13] ფერდინანდ ლასალი – პრუსიელი იურისტი, ფილოსოფოსი, სოციალისტი აქტივისტი. გერმანული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი (მთარგ.).

III

დიალექტიკური მეთოდი

სიმართლეა, რომ კაცობრიობამ უგულებელყო დიალექტიკაც და იდეა ჭარბი ღირებულების შესახებ? ვიკო, ვოლნი, და სხვა ენციკლოპედისტები, აგუსტინი, თიერი, ბაქელი, ა. ბლანქი, ქუეთელეი[14] და სხვა მრავალი – განა მათ არ ჰქონდათ იდეა იმის თაობაზე, რომ ეკონომიკურ ფაქტორებს აქვთ გავლენა კაცობრიობის ისტორიაზე? და ტ. როჯერსმა არ დაწერა მისი დიდებული ნაშრომი „ხელფასები და შრომის ექვსი საუკუნე“? ან თუნდაც „ისტორიის ეკონომიკური ინტერპრეტაცია“? და თუ სიმართლეს გამოიძიებს მიუკერძოებელი ადამიანი, ვინ მიისწრაფოდა დიქტატურის ან პაპობისკენ იქამდე სანამ სცენაზე მარქსი და ენგელსი გამოჩნდებოდნენ, მაშ როგორ მივიჩნიოთ ავტორების ასეთი ციტატები? ყოველი მათგანის, ბებელის, ბრენშტეინის, კაუცკის, პლეხანოვის, ენგელსის და ა. შ. ეს პასაჟები მათ უბრალო უცოდინრობის გამო დაწერეს თუ რაიმე სხვა, არამეცნიერული მოტივებით?ზემოთ ნახსენები ციტატებიდან ჩვენ ვიცით, კაცობრიობა მადლობას უნდა უხდიდეს მარქსსა და ენგელს იმისთვის, რომ დაიწყო:

1. დიალექტიკის გამოყენება სოციოლოგიურ კვლევაში;
2. ჭარბი ღირებულების პრინციპის აღმოჩენა, რომელიც აქამდე დაიგნორებული იყო მეცნიერების მხრიდან;
3. ისტორიის მატერიალისტური ახსნა;
4. დამაგვირგვინებელი დოქტრინა. კაპიტალის კონცენტრაციის კანონზომიერება, „მცირეთა მიერ დიდი რაოდენობით კაპიტალის ექსპროპრიაცია“, (ნახეთ „კაპიტალი“ გვ. 342)

უპირველეს ყოვლისა, უნდა დავიწყო მშრომელთათვის ბოდიშის მოხდით, განსაკუთრებით ინტერნაციონალი სოციალისტებისთვის, ჩემი წინასწარ განზრახული და არასახარბიელო ექსკურსიისთვის „მეცნიერული პრეტენზიების“ საქმეში. თუმცა, ამ ამოცანას ჩვენ თავს ვერ ავარიდებთ, როდესაც მეცნიერული სოციალიზმის სახელით ჩვენ გვესმის ქადაგება და გაღმერთება სრული ძალაუფლებით, უფლებამოსილებით, წესრიგით, დისციპლინით, სუბორდინაციითა და სხვა თვისებებით აღჭურვილი სახელმწიფოსი, როდესაც ჩვენ ვხედავთ ემანსიპაციის, გათავისუფლებისა და სოლიდარობის იდეებს როგორ აქცევენ საქვეყნოდ დასაცინად, როგორც უტოპიურს, და ყველა ჰუმანიტარული და სოციალისტური იდეების მიმდევარი იწოდება როგორც უვიცი, ჩვენ იძულებულები ვართ გულდასმით გადავამოწმოთ და ვნახოთ, სად არის სიმართლე. მეცნიერება, დიდებული ნატურალიზმი თავისი ევოლუციური სისტემით, ანუ ტრანსფორმიზმი, ის და მონისტური მატერიალიზმი შეუთავსებელია ენგელსი-

[14] ადოლფ ქუეთელეი (1796-1874) – ბელგიელი ასტრონომი, მათემატიკოსი, სტატისტიკოსი და სოციოლოგი (მთარგ.).

სათვის,* იგი შეიქმნა და განვითარდა ინდუქციური მეთოდით, ყველა დიდი მეცნიერული გონება უგულებელყოფდა და კიცხავდა დიალექტიკას. მე მოვუწოდე სოციალ დემოკრატებს, რომ დაესახელებინათ ჩვენი საუკუნის ერთი მეცნიერი მაინც, ვინც გამოიყენა დიალექტიკა თავის მეცნიერულ კვლევაში, იქამდე ვიდრე გერმანელები მეტაფიზიკაში. ლამარი, ჯოფრი სეინ ჰილარი, ლიელი, დარვინი, ჰეიკელი, ჰელმჰოლთზი, ჰაქსლი და სხვები, იკვლევდნენ დიდებულ ევოლუციონისტურ ფილოსოფიას დიალექტიკური მეთოდის გამოყენებით? ქუეთელი და ჯ. ს. მილი, მორგანი და ბაქლი, მეინი და ტეილორი, ჰ. სპენსერი, გუაიუ და ბეინი ხომ არ აზოგადებდნენ სოციოლოგიას, ლოგიკას, ეთიკასა და თანამედროვე ფილოსოფიას, სხვაგვარად ვიდრე ინდუქცია? ვინც ცოტა მაინც იცის ისტორიის მეცნიერების თანამედროვე განვითარების შესახებ, უნდა აღიაროს, რომ ყველა დიდებულმა გონებამ უარყო დიალექტიკური მეთოდი. გერმანელი მეტაფიზიკოსებიც კი არ მიუყვებოდნენ ბრმად ამ იდეას – „შეზღუდვის გარეშე საუბრის ხელოვნება“, მაგალითისთვის დოქტორი ფ. უბერვეგი („ლოგიკის სისტემა“) ამბობს: „ზენონ ელეატელი, იყო პირველი ვინც აღმოაჩინა ფილოსოფიური დიალოგის წარმართვის ხელოვნება თავისი მკაცრი ფორმით, უფრო ზუსტად, არაპირდაპირი მტკიცებულებით. ჰენსი და არისტოტელე მას დიალექტიკის დამფუძნებელს უწოდებდნენ“ (გვ. 22, {} 11). კიდევ ერთი ავტორიტეტი მარქსისა და ენგელსისთვის, თავად ჰეგელიც, „საყოველთაო მეტაფიზიკური იმპერიის“ დამფუძნებელი, დიალექტიკის დიდებული ოსტატი, თავის „ლოგიკაში“ გასაგებად ამბობს: „თავისი ფორმით, ლოგიკურ დოქტრინას აქვს . . . სამი მხარე: აბსტრაქტული მხარე, ანუ გაგების მომენტი; დიალექტიკური, ანუ უარყოფითი მიზეზი; სპეკულაციური, ან დადებითი მიზეზი. ეს სამი მხარე მართალია არ ქმნის ლოგიკის სამ ნაწილს, თუმცა ეს ეტაპები გვხვდება ყველა სახის ლოგიკურ წარმონაქმნში (გვ. 143). დიალექტიკა, მისი ფილოსოფიური გამოყენებებიდან გამომდინარე . . . იქცა სკეპტიციზმად. მართლაც, ხშირ შემთხვევაში ის არაფერია თუ არა სუბიექტური არგუმენტებით აიწონა-დაიწონას თამაში, სადაც ღირებულების არ ქონა შეფუთულია დახვეწილობით“ (გვ. 147, გ. ჰეგელი, „ლოგიკა“, თარგმანი – ვ. ვოლასი, მეორე გამოცემა, 1892).„სოფისტებმა დაამუშავეს დიალექტიკის ხელოვნება, მაგრამ ხშირად მას არასწორად იყენებენ, თავიანთი სუბიექტური ახირებებისთვის“ (უბერვეგი, გვ. 25). „ბერძნები, დახვეწილი მოკამათეები, აწყობდნენ დისკუსიებს, რომლებშიც დიალექტიკა იღებდა მსჯელობის ძალას“ (ბონალდი). როგორც ვხედავთ, მეტაფიზიკოსები თავად საუბრობენ, რომ მათი საყვარელი „ფილოსოფიურ დიალოგი“ არის „უარყოფითი აზრი, სკეპტიციზმი, არგუმენტების აიწონა-დაიწონა, სოფისტური ხელოვნება“. მიუხედავად ამისა, ენგელსი კი უკვე ასწავლიდა საწყალ გერმანელ მშრომელებს, რომ ეს არის ნამდვილი მეცნიერული მეთოდი. ვნახოთ რას ფიქრობენ ინდუქციური მეცნიერებისა და სინთეზური ფილოსოფიის წარმომადგენლები. „ფილოსოფოსების მიერ დიალექტიკური მეთოდის განზოგადება, [მეტაფიზიკოსების],“ ამბობს პროფესორი ვ. ვუნდტი, „რომლებიც დააფუძნეს

* თავის ბროშურაში, „ლუდვიგ ფოიერბახი“, ის უწოდებს მატერიალისტურ ბუნებისმეტყველებას „ვულგარულს“ საკუთარი პოზიციის საწინააღმდეგოდ.

თავიანთ შეუმცდარ დოქტრინებზე, ჩვენთვის ჩანს როგორც ხელოვნური ბარიერი, რომელიც ხელს უშლის სხვა იდეებს“. ჰეგელისა და მისი მეტაფიზიკის პატივსაცემად ბატონი ვუნდტი ამბობს: „ჰეგელი ნამდვილი რესტავრაციის ფილოსოფოსია. ის დარწმუნებულია რომ ინდივიდი აუცილებლად უნდა ემსახუროს... სახელმწიფოს, უნიკალური მორჩილებით. იგი აბსოლუტური ფორმით ადიდებს დემოკრატიულ კონსტიტუციონალიზმს. მისი ისტორიის ფილოსოფიის ძირითადი იდეა მიმართულია, რომ ერთდროულად ემსახუროს და მხარი დაუჭიროს რესტავრაციის ეპოქის ფილოსოფიურ ტენდენციებს“[16]. ჰ. ტ. ბაკლის აზრით მეტაფიზიკური მეთოდი სრულიად არ არის ხელსაყრელი: „ახლა“, ამბობს ის, „პირველი შენიშვნა რომელიც ამ საკითხზე უნდა გავაკეთოთ არის, რომ მეტაფიზიკური მეთოდის გამოყენებით, ცოდნის არც ერთი მიმართულებით ჯერ ახალი აღმოჩენა არ გაკეთებულა (გვ. 146) ...მეტაფიზიკური სქემის მიხედვით ადამიანური ბუნების გამოკვლევა ორი მეთოდით შეიძლება, ორივე არის აშკარად ცხადი, თუმცა ორივეს განსხვავებულ შედეგებამდე მივყავართ. პირველი მეთოდის მიხედვით, მკვლევარი იწყებს შესწავლას მისი განცდებით, მეორე შემთხვევაში კი იდეებით (გვ. 147), შესაბამისად მეტაფიზიკაში ყოველთვის ასე იქნება, რომ თუ ორი ერთნაირი შესაძლებლობების ადამიანი აზროვნების პროცესში სხვადასხვა მეთოდს გამოიყენებს, მათ მიერ მიღებული დასკვნებიც განსხვავებული იქნება“ („ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“, წიგნი I, გვ. 140). გავიხსენოთ მეტაფიზიკის უკვდავი განმარტება რომელიც მოგვცა ვოლტერმა: „როდესაც ორი ფილოსოფოსი საუბრობს, რომელთაც ერთმანეთის არ ესმით, ისინი ქმნიან მეტაფიზიკას; ხოლო მაშინ როდესაც მათ საკუთარი თავებისაც აღარ ესმით, ქმნიან მაღალ-მეტაფიზიკას“. (“Quand deux philosophes discutent sans se comprendre, ils font de la haute meraphysique; quand ils ne se comprennent plus, ils font de la metaphysique”) გოეთე, კიდევ ერთი ავტორიტეტი გერმანიისა და ზოგადად კაცობრიობისთვის, ასევე არ იყო კეთილგანწყობილი ენგელსისა და მისი მოწაფეების საყვარელი მეთოდის მიმართ (ნახეთ ეკერმანის „საუბრები“, მესამე ნაწილი). ვერც გოეთეს მეცნიერული გონება მოიხიბლა ამ ცნობილი მეთოდით, რომლის მეშვეობითაც თანაბრადაა შესაძლებელი ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიციის დასაბუთება. მას ესმოდა რომ კვლევა-ძიების მხოლოდ ერთადერთი მეთოდი არსებობს, მეცნიერული – ინდუქციური – მეთოდი. ჰიპოთეზა მას შემდეგ ხდება თეორია, როდესაც ინდუქციით დგინდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და დასტურდება დედუქციით. მან დაინახა რომ დიალექტიკური მეთოდი არ არის ახალი. ენგელსი სადღაც თავადაც ამბობს, რომ დეკარტე და სპინოზა, რუსო და დიდრო, ჰეგელის თანამედროვე ჩარლფ ფიურეც კი იყენებდა მას. ყველა ამ ფილოსოფოსმა, განსაკუთრებით უკანასკნელმა მიუძღვნა თავისი შრომა, რომ ეკვლია სოციალური ფილოსოფია და სოციალიზმი. მაშ როგორ მოხდა რომ მარქსმა, ენგელსმა და გერმანელმა მშრომელმა, დიტზგენმა, აღმოაჩინეს ის? მაშინ როდესაც დეკარტი, სპინოზა, ჰეგელის მეტაფიზიკოსები; რუსო, დიდრო და ფურიეს უტოპისტები იგივე დიალექტიკას

[16] ვ. ვუნდტი, „ჩვენი საუკუნის ცხოვრებისა და ურთიერთობის ფილოსოფია“, ლექცია ჩატარდა ლაიფციგის უნივერსიტეტში, 1889 წ. (ვციტირებთ რუსული თარგმანიდან).

იყენებდნენ, მხოლოდ მარქსისა და ენგელსის მეთოდია მეცნიერული? მივცეთ შესაძლებლობა ფილოსოფოსებსა და სხვა სოციალიზმის პუბლიცისტებს, რომ აგვიხსნან ეს ყველაფერი ჩვენ, უვიც ხალხს.

ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
როინ (ლაშა) რუხიაშვილმა